№673 2015 წლის 1 აპრილი ქ. თბილისი

2015 წლის განმავლობაში ფიზიკური პირისა და კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ, აუქციონის გარეშე სარგებლობაში გადაცემაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, 2015 წლის განმავლობაში, ფიზიკური პირისა (მოსწავლეების, მასწავლებლებისა და

სტუდენტების) და კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის (ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის) სახელმწიფო ქონების (სტაციონარული კომპიუტერები/პორტაბელური კომპიუტერები) უსასყიდლოდ, აუქციონის გარეშე სარგებლობაში გადაცემაზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**